

176
1953



სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიის

პროგრამა

განყოფილება I

მარქსიზმ და ენგელსის მიერ დიალექტიკური და ისტორიული
მატერიალიზმის შექმნა და განვითარება

თ ე მ ა 1

მარქსიზმის წარმოშობა — უდიდესი რევოლუციური
გადატრიალება ფილოსოფიაში

K 268.017
3

B. 435/3
0116/1953

მარქსიზმის წარმოშობა. უდიდესი რევოლუციური გადატრია-
ლება ფილოსოფიაში. მარქსიზმის წარმოშობის ეპოქა; ბურჟუაზი-
ული საზოგადოების ანტაგონისტური წინააღმდეგობის განვითარ-
ება, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიის პოლიტი-
კური ბატონობის დამყარება, პროლეტარიატის განმათავისუფლე-
ბელი ბრძოლა. მარქსიზმის თეორიული წყაროები. ფრანგული
უტოპიური სოციალიზმი, ინგლისური კლასიკური ბურჟუაზიული
პოლიტიკური ეკონომია, XVIII ს. დასასრულის და XIX ს. დასა-
წყისის გერმანული ფილოსოფია. რუსული კლასიკური ფილოსოფიის
მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც მჭიდროდ მივიდა
დიალექტიკურ მატერიალიზმთან.

გერმანია, როგორც მარქსიზმის სამშობლო. პროლეტარიატის
მსოფლიო-ისტორიული როლი, რომელიც მოწოდებულია მოსპობს
კაპიტალიზმი, დაიპყროს პოლიტიკური ძალა-უფლება და ააშენოს
კომუნისმი. ბუნების შესახებ დიალექტიკური თვალსაზრისის ის-
ტორიული შემზადება. XIX ს. ბუნებისმეტყველების უდიდესი აღ-
მოჩენანი: ჯჯრედის თეორია, ენერჯის შენახვის და გარდაქმნის
კანონი, ევოლუციური თეორია, მენდელეევის ელემენტთა პერიოდ-
ული სისტემა, სენენოვის მოძღვრება. „დიალექტიური მატერია-
ლიზმი წინაპერიოდის მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის
განვითარების ნაყოფია“ (ი. სტალინი).

მთელი ძველი ფილოსოფიის (მარქსიზმის და ენგელსამდე) უსუ-
სურობა ახალ ეპოქაში.

სსრკ უმაღლესი განათლების
მინისტროს
ბიბლიოთეკა

პროლეტარული პარტიულობის პოზიციიდან მშრომელთათვის უცხო ბურჟუაზიული ფილოსოფიის და საერთოდ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის კრიტიკული დაძლევა.

ძველ ერთეულ ფილოსოფოსთა ფილოსოფიური თეორიების ნაცვლად მარქსისა და ენგელსის მიერ რევოლუციური ფილოსოფიური მეცნიერების, როგორც კომუნისტური პარტიის და მუშათა კლასის ქმედითი მსოფლმხედველობის შექმნა. ფილოსოფიის კლასობრივი ბუნების, მისი საგნის და მეცნიერულ ცოდნათა სისტემაში ადგილის ძირეული შეცვლა. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირეული თვისობრივი თავისებურებანი, რომელნიც მას არსებითად განასხვავებენ ყველა წინანდელი ფილოსოფიური მოძღვრებისაგან.

მარქსმა და ენგელსმა აჩვენეს გზა ისტორიის მეცნიერული შესწავლისა, როგორც მთლიანის და კანონზომიერის, მთელი მისი მრავალმხრივობებით და წინააღმდეგობებით. ახალი, უმაღლესი ფორმის მატერიალიზმის წარმოშობა, პრინციპიალურად ახალი, რევოლუციური, მატერიალისტური დიალექტიკის შექმნა. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, როგორც მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ; მისი განუწყვეტელი და ყოველმხრივი კავშირი მეცნიერულ პროლეტარულ სოციალიზმთან და მთელი მსოფლიოს ქვეყნების მუშათა მოძრაობის პრაქტიკასთან. ისტორიული მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფიაში რევოლუციური გადატრიალების უმთავრესი გამოხატულება.

მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების თავისებურებანი განვლილი ასი წლის განმავლობაში მის ბრძოლაში მარქსიზმისადმი მტრულ თეორიებთან და მარქსისტული მსოფლმხედველობის სრული გამარჯვება. რუსეთი — ლენინიზმის, მარქსიზმის განვითარებაში უმაღლესი საფეხურის, სამშობლო. ლენინისა და სტალინის მსოფლიო-ისტორიული როლი მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში.

თ მ მ ა 2

მარქსისტული ფილოსოფიის ჩამოყალიბება (1848 წლის რევოლუციამდე)

ლენინი და სტალინი მარქსისტული ფილოსოფიის ჩამოყალიბების ძირითად თავისებურებათა შესახებ. მარქსისტული ფილოსო-



ფიის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალები.

მარქსისა და ენგელსის თვალსაზრისთა ჩამოყალიბების პროცესი: 1837—1841 წ.-ის რევოლუციური დემოკრატიზმისა და იდეალიზმიდან („კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პერიოდი, 1848 წ. თებერვალი) მეცნიერულ კომუნიზმამდე და დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმამდე.

მარქსისა და ენგელსის გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ (ახალგაზრდა ჰეგელიანელები, ფეოდალური და ბურჟუაზიული „სოციალიზმი“, „კრეშმარიტი სოციალისტები“ და სხვ.), პროლეტარიატის მეცნიერული მსოფლმხედველობის საფუძვლების შექმნა, რომლებიც მის ისტორიულ ბედს აშუქებენ.

1837—1847 წწ. მარქსიზმის ფილოსოფიური ფორმირების წინა პლანზე წამოწევის მიზეზები. ამის მნიშვნელობა მთლიანად მარქსიზმის თეორიის გამომუშავებისათვის. ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის და ფოიერბახის მეტაფიზიკური მატერიალიზმის თანმიმდევრული და ყოველმხრივი კრიტიკა მარქსისა და ენგელსის მიერ.

მარქსისა და ენგელსის რევოლუციურ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ თვალსაზრისთა ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები: პირველი საჯარო გამოსვლებიდან 1842 წლამდე, როდესაც „რაინის გაზეთში“ მუშაობის პერიოდში ხდება მარქსის გადასვლა მატერიალიზმისა და კომუნიზმისკენ. მარქსისა და ენგელსის შრომები 1843—1844 წწ., სადაც ისინი გამოდიან როგორც უკვე რევოლუციონერები, „ყოველივე არსებულს დაუნდობელ კრიტიკას“ უმორჩილებენ, მიმართავენ რა მასებს და პროლეტარიატს. „გერმანულ-ფრანგული მატიაზე“. 1845—1847 წწ. შრომები. „წმინდა ოჯახი“, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „გერმანული იდეოლოგია“, „ფილოსოფიის სილატაკე“, რომლებშიაც ვერცხვსა საფუძველი მეცნიერულ სოციალიზმს, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, წარმოებს ბრძოლა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის თეორიებთან და მუშავდება რევოლუციური პროლეტარული კომუნიზმის თეორიის და ტაქტიკის პირველი დებულებები. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შექმნა (1847 წლის დასასრული 1848 წ. დასაწყისი), რომელშიაც გენიალურად მოხაზულია ახალი მსოფლმხედველობა, თანამიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალურ ცხოვრებასაც მოიცავს, რევოლუცი-

ური დიალექტიკა, კლასობრივი ბრძოლის თეორია და პროლეტარიატის, კომუნისტური საზოგადოების შემქმნელის მსოფლიო ისტორიული როლი.



0 0 0 0 3

მარქსისტული ფილოსოფიის განვითარება 1848 წ. რევოლუციის პერიოდში და მის მომდევნო წლებში

1848 წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლა. მუშათა კლასის ამოცანები 1848 წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიული თავისებურება საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, პოლონეთში. ინგლისი და 1848 წ. რევოლუცია. რუსეთი და 1848 წ. რევოლუცია. ლენინი და სტალინი 1848 წ. რევოლუციის ყველა წინანდელი ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავების შესახებ. 1848 წ. რევოლუციის დამარცხების მიზეზები. მარქსიზმის განვითარების ისტორიული თავისებურება ამ პერიოდში: წინა პლანზე მარქსიზმის პოლიტიკური იდეების წამოწევა, ამ საფუძველზე ისტორიის მატერიალისტური გაგების დამუშავება და კონკრეტიზაცია. ამის მნიშვნელობა მუშათა კლასის რევოლუციური თეორიის განვითარებაში. მარქსიზმის ისტორიის ამ პერიოდის ბერნშტეინიანული და მენშევიკური შეფასების კრიტიკა.

ისტორიული მატერიალიზმის განვითარება „ახალი რაინის გაზეთში“. მარქსის და ენგელსის ტაქტიკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ისტორიულ პროცესში სოციალური რევოლუციების როლის საკითხის, სოციალურ რევოლუციაში მშრომელი მასების როლის საკითხის დამუშავება, ბურჟუაზიული რევოლუციის ცნების კონკრეტიზაცია, ისტორიული ცვლილებების ახსნა, რომლებიც ამ რევოლუციის კლასობრივი არსიდან გამომდინარეობენ. მარქსის და ენგელსის მისგან ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეამდე. მოძღვრება კლასთა ბრძოლაზე, როგორც რევოლუციის მამოძრავებელ ძალაზე. გლეხობის და ნაციონალური საკითხის გაშუქება 1848 წ. რევოლუციის შინაარსის და მამოძრავებელი ძალების ანალიზთან კავშირში. ენგელსის შეცდომები ნაციონალურ საკითხში.

კომუნისტების კავშირის „მიმართვა“. მარქსისა და ენგელსის განუწყვეტელი რევოლუციის თეორია და მისი ისტორიული მნიშვნე-



ნელობა. ლენინისა და სტალინის მიერ „პერმანენტური რევოლუციის“ კონტრევოლუციონურ ტროცკისტული კონცეპციის მხილება.

რევოლუციის შედეგების შეჯამება და დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემდგომი განვითარება. მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებები: „რევოლუცია და კონტრევოლუცია გერმანიაში“, „გლახთა ომი გერმანიაში“, „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“, „18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“. მარქსისა და ენგელსის მიერ კლასთა ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის, აგრეთვე პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სტრატეგიის, განუწყვეტელი რევოლუციის, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევის შესახებ დებულებების დამუშავება. მარქსის წერილი ვაიდემიერს (1852). ლენინის და სტალინის მიერ ამ პერიოდის მარქსიზმის მონაპოვართა ოპორტუნისტულ, რევიზიონისტული დამახინჯების კრიტიკა. ლენინისა და სტალინის მიერ 1848 წ. რევოლუციის გამოცდილების თეორიული განზოგადების მნიშვნელობის შეფასება ისტორიის მატერიალისტური გაგების განვითარებისა და პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

მ ა შ ი 4

მარქსისა და ენგელსის მიერ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განვითარება 1848 წლის რევოლუციის შემდეგ პარიზის კომუნამდე

ლენინი და სტალინი ამ პერიოდში მარქსიზმის განვითარებისა და ისტორიული ვითარების თავისებურებების შესახებ. მარქსის და ენგელსის რევოლუციური მოღვაწეობა, განსაკუთრებით 60-იან წლებში I ინტერნაციონალის დაარსებისა და მოქმედების პერიოდში და პარიზის კომუნის დროს. მარქსიზმის ფუძემდებელთა ბრძოლა პროლეტარულ პარტიათა შექმნისათვის, მათი პროგრამისა და რევოლუციური, პროლეტარული ტაქტიკის თეორიული დასაბუთება. მარქსისა და ენგელსის ბრძოლა არაპროლეტარული უტოპიური სოციალიზმის, ტრედ-იუნიონიზმის, ლასალიანელობის, ვულგარული მატერიალიზმის და ამ დროის ყოველგვარი სახის იდეალიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატის დიქტატურის, პროლეტარული სახელმწიფოს და სოციალისტური რევოლუციის შესახებ მოძღვრების განვითარება; სხვადასხვა ქვეყანაში პროლეტარული ბრძოლის ერთიანი ტაქტიკის მეცნიერული დასაბუთება.



მარქსის შრომა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ მისი მნიშვნელობა მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებისათვის.

მარქსის მთავარი ნაწარმოები — „კაპიტალი“ — ახალი ეტაპი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განვითარებაში, ისტორიული პროცესის და მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის დამუშავების გენიალური ნიმუში. მარქსის „კაპიტალის“ მნიშვნელობა მუშათა კლასის პარტიის შეიარაღებისათვის კაპიტალიზმის წარმოქმნის, განვითარების და დაღუპვის კანონების ზუსტი ცოდნით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის განადგურებისათვის, მთავარში, გადამწყვეტში, მისი წარმომადგენლების მიერ კაპიტალისტური დაქირავებული მონობის მარადიულობის და გარდუვალობის „დასაბუთებაში“. მარქსის მიერ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების განვითარების, პროლეტარული რევოლუციის და სოციალიზმის ობიექტური კანონზომიერების შესახებ მოძღვრების თეორიული დასაბუთება. მარქსის „კაპიტალში“ დიალექტიკის, შემეცნების თეორიის და ლოგიკის ერთიანობა; ლოგიკურის და ისტორიულის, აბსტრაქტულის და კონკრეტულის, ანალიზის და სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის ურთიერთობის საკითხი. ლენინი და სტალინი მარქსის „კაპიტალის“ შესახებ.

მარქსისა და ენგელსის მიერ პარიზის კომუნის გამოცდილების თეორიული განზოგადება. ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მოწოდებანი საფრანგეთ-პრუსიის ომთან დაკავშირებით. „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“. პროლეტარიატის დიქტატურის, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის შესახებ საკითხების შემდგომი განვითარება, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ, დამპყრობლური ომის სამოქალაქო, რევოლუციურ ომად გადაქცევის შესახებ საკითხის დაყენება. პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის შესახებ მონახაზები მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებში. ლენინისა და სტალინის მიერ პარიზის კომუნის და მარქსისა და ენგელსის იდეის ისტორიული მნიშვნელობის შეფასება.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა პერიოდის დამთავრება და დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება. მარქსიზმის შემდგომი გავრცელება მუშათა მოძრაობაში და მარქსამდელი წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის მარცხი.



მარქსისტული ფილოსოფიის განვითარება პარიზის კომუნის შემდეგ (1872 — 1895).

ლენინი და სტალინი რევოლუციის მომდევნო, კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშათა მოძრაობის სწრაფი ზრდის, მარქსიზმის შემდგომი გავრცელების და მასობრივი სოციალისტური მუშათა პარტიების შექმნის ახალი ისტორიული ეპოქის შესახებ. კაპიტალისტური წარმოების პროგრესი და იმპერიალიზმში გადასვლის დასაწყისი. მუშათა კლასის ახალი ამოცანები. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების მომწიფება აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში. რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადანაცვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ავანგარდად გადაქცევის დასაწყისი. მარქსი და ენგელსი XIX ს. უკანასკნელ მესამედში რუსეთის განვითარების შესახებ.

მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ მათი მოძღვრების ძირითადი პრინციპების შემდგომი განვითარება და სისტემატური მწყობრი დალაგება. მარქსის და ენგელსის ბრძოლა ბაკუნინიზმის წინააღმდეგ. ევ. ლიურინგის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებათა მხილება. ლასალიანური ოპორტუნიზმის და ლასალის ფილოსოფიური თეორიის განადგურება.

მარქსისა და ენგელსის მიერ ბუნებისმეტყველების მიღწევათა ახლებური განზოგადება და ამ საფუძველზე ფილოსოფიური მატერიალიზმის, შემეცნების თეორიის, მატერიალისტური, დიალექტიკის საკითხების დამუშავება. ენგელსის მიერ ბუნებისმეტყველებაში მეტაფიზიკისა და იდეალიზმის კრიტიკა. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის და მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, შემდგომი დამუშავება („ანტი-ლიურინგი“, „ბუნების დიალექტიკა“, „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“).

მარქსი და ენგელსი XIX ს. დასასრულის რეაქციული ფილოსოფიური თეორიების შესახებ. მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კულტურის მიღწევების მაღალი შეფასება.

პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორიის განვითარება და გაღრმავება, პროლეტარული პარტიის შესახებ ძირითად დებულებათა ფორმულირება, მეცნიე-



რული სოციალიზმის თეორიის დამუშავება, კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის საკითხი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის საკითხი. წინაკლასობრივი საზოგადოების, კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ მოძღვრების დამუშავება. („გოთას პროგრამის კრიტიკა“, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“).

მარქსისა და ენგელსის თანამებრძოლნი, მარქსიზმის პროპაგანდისტები კ. ლიბკნეხტი, ა. ბეზელი, პ. ლაფარგი, ფ. მერინგი და სხვ. მათი პოლიტიკური საქმიანობის და თეორიული ნაწარმოებების შეფასება ლენინის და სტალინის მიერ.

მარქსის და ენგელსის ბრძოლა ბურჟუაზიის ცდის წინააღმდეგ იდეურად განაიარალოს პროლეტარიატი, ბრძოლა მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის გამცემლური როლის წინააღმდეგ. II ინტერნაციონალის ორგანიზაცია. (ერტურტის პროგრამის კრიტიკა).

ენგელსის მიერ „კაპიტალის“ II და III ტომის გამოქვეყნება. ამ ნაწარმოებების უდიდესი მნიშვნელობა მარქსისტული ფილოსოფიის შემდგომი განვითარებისათვის. ენგელსის წერილები ისტორიული მატერიალიზმის შესახებ.

ლენინი და სტალინი მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოღვაწეობის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, მათი იდეური, თეორიული მემკვიდრეობის გარდუვალი ღირებულების შესახებ. ლენინი და სტალინი—მარქსისა და ენგელსის გენიალური გამგრძელებელნი, რომელთაც მარქსიზმი ახალ, გაცილებით მაღალ საფეხურზე აიყვანეს, გენიალურად განავითარეს იგი ახალ ისტორიულ ეპოქაში.

თ ე მ ა ნ

მარქსიზმის გავრცელება რუსეთში 70—80 წწ.-ში და გ. ვ. პლехანოვი

სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება რეფორმის შემდგომი პერიოდის რუსეთში. რევოლუციური მარქსისტული პარტიის და მარქსისტული შეგნებულობის უქონლობა 70—80 წწ. რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ნაროდნიკობა—ძირითადი იდეური დაბრკოლება რუსეთის რევოლუციური მუშათა მოძრაობისათვის.

მარქსის „კაპიტალის“ თარგმანი რუსულ ენაზე. საზღვარგარეთ I ინტერნაციონალის რუსული სექციის შექმნა. მუშათა მოძრაობის ზრდის საფუძველზე და დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის გავლენით XIX ს. 80-იანი წ. რუსეთში პირველი მარქსისტული



ორგანიზაციების შექმნა. „შრომის განთავისუფლების“ შექმნა და მისი როლი რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის პლენანოვის ცხოვრება და მოღვაწეობა (1856 — 1918). პლენანოვის მსოფლმხედველობის და მოღვაწეობის ნაროდნიკული ხასიათი 80-იან წლებამდე.

პლენანოვის გადასვლა მარქსიზმის ბანაკში. პლენანოვის მიერ მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებების თარგმნა რუსულ ენაზე.

პლენანოვი მარქსიზმის გამოჩენილი პროპაგანდისტი რუსეთში. პლენანოვის ბრძოლა ნაროდნიკობის და მათი სუბიექტურ-იდეალისტური სოციოლოგიის წინააღმდეგ.

პლენანოვის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები 80 — 90-იან წლებში, რომლებიც მომავალი მისი მენშევიკური შეხედულებების ჩანასახი იყო.

პლენანოვის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების საკითხების გაშუქება. პლენანოვის როლი მატერიალისტური ესთეტიკის დასაბუთებასა და დაცვაში. მის მიერ ხელოვნების იდეალისტური თეორიების კრიტიკა. პლენანოვის შეცდომები ხელოვნების შესახებ შეხედულებებში.

პლენანოვის გადასვლა მენშევიზმის პოზიციაზე და ამის ასახვა მის მსოფლმხედველობაში.

ლენინის და სტალინის ბრძოლა პლენანოვის მენშევიზმის და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ. ლენინისა და სტალინის მიერ პლენანოვის ფილოსოფიური შეცდომების კრიტიკა.

პლენანოვის სოციალ-შოვინიზმი პირველი იმპერიალისტური ომის დროს.

პლენანოვის მტრული დამოკიდებულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი და მისი ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. პლენანოვის შეფასება ლენინის და სტალინის შრომებში.

ბანყოუილება II

მარქსიკვლი ფილოსოფიის განვითარება ლენინის და სტალინის მიერ

თ მ მ ა 7

ლენინიზმის, როგორც იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმის, წარმოშობა

ლენინიზმის ისტორიული ფესვები. ახალი ისტორიული ეპოქა XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში — იმპერიალიზმის ეპოქა. XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისში რევოლუციური



მოდრობის ცენტრის გადნაცვლება დასავლეთ ევროპიდან რუსეთში. რუსეთის პროლეტარიატი, როგორც ავანგარდი, მოწინავე ძალა საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობისა. რუსეთი — ლენინიზმის სამშობლო. მარქსიზმის და მისი ფილოსოფიის შემდგომი შემოქმედებითი დამუშავების აუცილებლობა. ლენინიზმი — მარქსიზმის შემდგომი განვითარებაა, — ახალი, მაღალი საფეხურია მარქსისტული მსოფლმხედველობის განვითარებაში. მარქსისტული ფილოსოფიის, დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც მარქსისტულ-ლენინური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის მსოფლმხედველობის შემდგომი განვითარების შინაგანი კავშირი პროლეტარიატის ახალ პოლიტიკურ ამოცანებთან.

ლენინისა და სტალინის შრომები — მეცნიერული აზრის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მიღწევა, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის მსოფლიო გამოცდილების და ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის განზოგადების შედეგი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მარქსისტული-ლენინური ფილოსოფიის განვითარების ახალი, უფრო მაღალი ეტაპი. სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში და სტალინის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიური თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვითარება.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, როგორც უმაღლესი მიღწევა მსოფლიო მეცნიერებისა. მისი მნიშვნელობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ზრდა და განვითარება მის უზოროტეს მტერთან — იდეალიზმთან, მისი გამოვლენის ყველა ფორმასთან ბრძოლაში. ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მუშათა მოძრაობაში მისი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების კანონია.

თ ე მ ა მ

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარება 1905 წლის რევოლუციამდე და რევოლუციის პერიოდში

ისტორიული ვითარება რუსეთში XIX ს. დასასრულს და 1905 წ. რევოლუციის წინ. ლენინის მიერ მარქსისტული ფილოსოფიის განვითარება რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის პერიოდში. ლენინის და სტალინის მიერ პროლეტარული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შესახებ მოძღვრების შემუშავება.

ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი.

ლენინის მიერ მარქსიზმის თეორიული საფუძვლების დაცვა და განვითარება, ნაროდნიკობის იდეოლოგიური საფუძვლების განადგურება („რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ მომბენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“).

ლენინის მიერ მარქსიზმის შემოქმედებითი გამოყენება რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის და პირობების ახსნისათვის, მატერიალისტური დიალექტიკის განვითარება, ნაროდნიკების ეკლექტიკისა და სოფისტიკის კრიტიკა, სოციოლოგიაში ანტიმეცნიერული, სუბიექტიური მეთოდის მხილება. ლენინის ბრძოლა ნაროდნიკების ბურჟუაზიული სოციოლოგიის წინააღმდეგ და საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ მარქსისტული შოქღერების განვითარება; ისტორიაში პიროვნების და ხალხთა მასების როლის საკითხი, საზოგადოებრივი კანონზომიერების პრობლემები მთლიანად.

ლენინის და სტალინის ბრძოლა „ლეგალური მარქსიზმის“ და მისი თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ, „ეკონომიური მატერიალიზმის“ და ნეოკანტიანელობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის საერთაშორისო მნიშვნელობა.

ლენინის მიერ ნეოკანტიანელობის, „ლეგალური მარქსიზმის“ და სხვა ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმდინარეობების კრიტიკა. ამხანაგ სტალინის ბრძოლა „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ ამიერ-კავკასიაში. ლენინისა და სტალინის მიერ ამ ბრძოლის დაკავშირება II ინტერნაციონალის შიგნით რეფორმიზმის ფილოსოფიური საფუძვლების მხილებასთან. ლენინის მიერ ფილოსოფიის პარტიულობის პრინციპის განვითარება. ლენინის მიერ ბურჟუაზიული ობიექტივიზმის კრიტიკა, სახელმწიფოზე და რევოლუციაზე მარქსის თვალსაზრისის შემდგომი განვითარება. ლენინის და სტალინის ბრძოლა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეური მემკვიდრეობისათვის.

ლენინისა და სტალინის მიერ ისტორიის მატერიალისტური გავების განვითარება რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების დამუშავება, — მუშათა მოძრაობაში სტიქიურობის და შეგნებულობის, ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის, პროლეტარიატის სოციალისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბების, რევოლუციური თეორიის შესახებ საკითხები. („რა ვაკეთოთ?“, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“).

ლენინის და სტალინის ბრძოლა ორგანიზაციულ საკითხებში „სტიქიურობის თეორიის“ წინააღმდეგ, მათ მიერ მენშევიკების

სოციალური ფაქტალიზმის გამომქლავება, პარტიის და საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესში მისი როლის შესახებ მოძღვრების ჩამოყალიბება.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარება 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ლენინისა და სტალინის მიერ რევოლუციის საკითხის, როგორც ისტორიული მატერიალიზმის მნიშვნელოვანი საკითხის ახლებური დამუშავება. ლენინისა და სტალინის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის მიყენება რევოლუციის ტაქტიკის საკითხებისადმი. ლენინისა და სტალინის ბრძოლა მენშევიკებისა და დასავლეთ ვეროპის ოპორტუნისტების „სტიქიურობის თეორიის“ წინააღმდეგ („სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“). რევოლუციის პრობლემა, როგორც ლენინიზმის თეორიის და პრაქტიკის ცენტრალური საკითხი. ლენინის მიერ რევოლუციის შესახებ მოძღვრების, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ მოძღვრების განვითარება მენშევიკებისა და დასავლეთ-ვეროპის ოპორტუნისტების „სტიქიურობის თეორიისთან“ შეურიგებელ ბრძოლაში. მნიშვნელობა ლენინის შრომისა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

ლენინის და სტალინის მიერ მენშევიკების კრიტიკა ისტორიული მატერიალიზმის გაყალბებისა და მათ მიერ რევოლუციური მეცნიერების დოგმატიზმამდე დაქვეითებისათვის, მენშევიკების პოლიტიკური და თეორიული კვიეტისმის კრიტიკა. ლენინის და სტალინის მიერ ისტორიაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების როლის, ბრძოლისა და განვითარების მსვლელობაში პარტიის ისტორიული ზემოქმედი როლის შესახებ საკითხის დამუშავება.

ამხანაგ სტალინის მიერ მარქსისტული მატერიალიზმის განვითარება ანარქისტებთან და რევოზიონისტებთან ბრძოლაში, მათ მიერ ანარქიზმის რეაქციული ფილოსოფიური ფესვების, პრუდონის და სპენერის მეტაფიზიკის მხილება. მატერიალისტური დიალექტიკის პრობლემა, მოცემული და განვითარებული ამხანაგ სტალინის შრომებში.

ამხანაგ სტალინის მიერ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის და ისტორიული მატერიალიზმის განვითარება. ვულგარული და „ეკონომიური“ მატერიალიზმის კრიტიკა, იდეოლოგიის შედარებითი დამოუკიდებლობის, საზოგადოებრივ განვითარებაში ზედნაშენის აქტიური როლის პრობლემის დამუშავება.



სტალინის შრომა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ — უდრის ვანძი მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში; მარქსისტული ფილოსოფიის პროლეტარულ სოციალიზმთან ორგანული კავშირის დასაბუთება. ბუნებაზე დიალექტიკურ-მატერიალისტური შეხედულების დასაბუთება.

თ ე მ ა 9

მარქსისტულ ლენინური ფილოსოფიის განვითარება 1905 წ. რევოლუციის შემდეგ (1907 — 1912 წწ.). ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“

ისტორიული ვითარება 1905 — 1907 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ. რეაქციის პერიოდი. ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“, როგორც მარქსისტული პარტიის თეორიული მომზადების მნიშვნელობა. ლენინი მახიზმის არსის, მისი კლასობრივი ძირების და იდეური წინაპრების შესახებ.

იმპერიალიზმის ეპოქის ძირითად იდეალისტურ მიმდინარეობათა კრიტიკა და განადგურება ლენინის მიერ. ლენინის მიერ რუსი მახისტების მხილება, რომლებიც რეაქციის წლებში მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოდიან „მარქსიზმის დაცვის“ დროში. ლენინის მიერ ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა და განვითარება, ენგელსის გარდაცვალებიდან განვლილ ისტორიული პერიოდის რევოლუციური პრაქტიკის და მეცნიერული აღმოჩენების განზოგადება, ლენინის მიერ მარქსისტული შემეცნების თეორიის საკითხების დამუშავება.

ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ — შემოქმედებითი მარქსიზმის ფილოსოფიაში მებრძოლი პარტიულობის ხიმუში. ლენინის მიერ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ყველა ძირითად პრობლემათა განვითარება; ლენინის ეს შრომა ახალი ეტაპია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განვითარებაში.

ბუნებისმეტყველებაში რევოლუციის და კრიზისის მიზეზთა ლენინური ანალიზი. ფიზიკური იდეალიზმის კრიტიკა.

XIX და XX სს. მიჯნაზე ფიზიკის აღმოჩენების განზოგადება. (რადიოაქტივობის, ელექტრონის და სხვ. აღმოჩენა); ლენინი ბუნებისმეტყველების კრიზისიდან გამოსვლის გზების შესახებ, ფიზიკის დიალექტიკური განვითარების შესახებ, მატერიალის შემეცნების

პროცესის, მისი სახეების და თვისებების, მოძრაობის ფორმების მისი კანონზომიერი კავშირების შესახებ.

ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, მნიშვნელობა რელიგიის და თეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისტორიული მატერიალიზმის საკითხები „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმში“.

ლენინის ბრძოლა II ინტერნაციონალის რევოლუციონიზმის წინააღმდეგ, რეაქციის პერიოდის სხვადასხვა ბურჟუაზიული რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ. პლენაროვის პოზიცია მახიზმთან დამოკიდებულებაში. მისი კრიტიკა ლენინისა და სტალინის მიერ.

თ ე მ ა 10

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარება რევოლუციური აღმავლობიდან (1912 — 1914) დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე

ისტორიული ვითარება პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის პერიოდში. ლენინის და სტალინის მიერ ნაციონალური საკითხის მარქსისტული თეორიის შემუშავება. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხის“ მნიშვნელობა მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში.

ლენინისა და სტალინის მიერ იმპერიალიზმის კანონზომიერების აღმოჩენა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სოციალისტური რევოლუციის თეორიის დასაბუთება და შემდგომი განვითარება. ლენინის მიერ იმპერიალიზმის როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის შესახებ, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ მოძღვრების შემუშავება — განძია ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში.

ლენინის მიერ ფილოსოფიის საკითხების დამუშავება 1914 — 1915 წწ., „ფილოსოფიური რვეულების“ მნიშვნელობა. ლენინი დაპირისპირებულთა ბრძოლის, როგორც დიალექტიკის ბირთვის შესახებ, მოვლენათა საყოველთაო კავშირის, დიალექტიკის სოციალისტურ წინააღმდეგობის შესახებ. ფილოსოფიური მატერიალიზმის და ფილოსოფიის ისტორიის საკითხები ლენინის „ფილოსოფიურ რვეულებში“.

ფიზიკის შემდგომი განვითარება და თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარების შესახებ ლენინური დებულებების ბრწყინვალე გამართლება.

ლენინისა და სტალინის მიერ ომის შესახებ მარქსისტული მოძღვრების დამუშავება. პარტიის VI ყრილობაზე სტალინის მოხსენების მნიშვნელობა მარქსიზმის თეორიის განვითარებისათვის. სო-



ციალისტურ რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში პარტიის ამოცანებისა და ტაქტიკის დასაბუთება და ფორმულირება, შემდგომი კმედებითი და დოგმატური მარქსიზმის განიჯენა, დოგმატიზმის კრიტიკა. სოციალისტური რევოლუციის თეორიის შემდგომი დამუშავება.

ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“. ლენინის და სტალინის ამ პერიოდის შრომები ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში უდიდეს განძს წარმოადგენენ. მათი მნიშვნელობა მარქსისტული ფილოსოფიის შემდგომი განვითარებისათვის.

თ ე მ ა 11

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების ახალი პერიოდი. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარება ხამოქალაქო ომის წლებში და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების პირობების ძირეული შეცვლა. მარქსისტული ფილოსოფიის შემდგომი განვითარება ლენინისა და სტალინის ნიერ პროლეტარიატის დიქტატურის პირველ პერიოდში.

ლენინისა და სტალინის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარება გარდამავალ პერიოდში, მისი კანონზომიერების ანალიზი. (პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის ეკონომიკის და პოლიტიკის ურთიერთობის საკითხი, ნეპის არსება, გარდამავალი პერიოდის კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმათა ანალიზი).

ლენინის შრომები „კოოპერაციის შესახებ“, „ჩვენი რევოლუციის შესახებ“, „უკეთესია ცოტა და კარგი“ და მათი მნიშვნელობა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის თეორიისათვის. სოციალისტური რევოლუციის თავისებურებების, პროლეტარული რევოლუციის ორგანიზაციული ამოცანების, სოციალისტური ეკონომიკის შექმნის პირობების, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით გლეხობის და მუშათა კლასის კავშირის როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპის შესახებ საკითხთა დასაბუთება ლენინის მიერ. პროლეტარული დემოკრატიის, როგორც მშრომელთათვის ნამდვილი დემოკრატიის თეორიის დასაბუთება წინააღმდეგ ყალბი ანტიხალხური, ბურჟუაზიული დემოკრატიისა.



რომელიც ბურჟუაზიის დიქტატურის ფორმას წარმოადგენს. ლენინის და სტალინის მიერ სოციალისტური კულტურის აგების, კულტურული რევოლუციის ამოცანების, კომუნისტურა მორალის საკითხების დამუშავება.

ლენინის შრომა „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ — დიალექტიკური მატერიალიზმის საპროგრამო დოკუმენტი.

სტალინის შრომა „ლენინიზმის საფუძვლები შესახებ“ — ლენინური მემკვიდრეობის იდეური შინაარსის განზოგადება სტალინის მიერ.

სტალინის მიერ ისტორიული მატერიალიზმის ძირეული საკითხების — იმპერიალიზმის და მისი ძირითადი წინააღმდეგობების, რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის, სტრატეგიის და ტაქტიკის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ მეცნიერების დამუშავება.

